

## სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერა

### რეგისტრაციის წესი

1. კონკურსში რეგისტრაცია ხორციელდება შემდეგი ფორმით:

ა) განაცხადის რეგისტრაცია ფონდის გრანტებს მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში - gmus.rustaveli.org.ge – 2022 წლის 10 მარტიდან 11 აპრილის 18:00 საათამდე;

ბ) ფონდის კანცელარიაში რეგისტრაცია - კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენა ფონდის კანცელარიაში - 2022 წლის 14 აპრილის 18:00 საათამდე.

2. განაცხადის ელექტრონული რეგისტრაცია გულისხმობს კონკურსის რეგისტრაციის წესით გათვალისწინებული ინფორმაციის შევსებასა და მოთხოვნილი დოკუმენტების ატვირთვას GMUS-ის შესაბამის ველებში. განაცხადის ელექტრონული რეგისტრაციისათვის სავალდებულოა ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (gmus.rustaveli.org.ge) დარეგისტრირებული იყოს განაცხადის სუბიექტები - იურიდიული პირი.

იურიდიული პირის რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტებია: სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (წესდება/დებულება). ა(ა)იპ-ისა და შპს-ის შემთხვევაში ასევე საჭიროა ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (2022 წლის მდგომარეობით); ხოლო სსიპ-ის შემთხვევაში - დაფუძნების დოკუმენტი.

3. პროექტის რეგისტრაციისათვის ასევე სავალდებულოა პროექტში მონაწილე ფიზიკური პირების რეგისტრაცია. ფიზიკური პირების რეგისტრაციისათვის ფილმის გადამღები ჯგუფის თითოეული წევრი ინდივიდუალურად რეგისტრირდება ელექტრონულ ბაზაში და ქმნის „მეცნიერის პროფილს“.

### საკონკურსო დოკუმენტაცია

1. ფონდის გრანტებს მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში განაცხადის რეგისტრაციისათვის საჭირო მონაცემებია:

ა) კრებსითი ინფორმაცია საკონკურსო განაცხადის შესახებ (ივსება GMUS-ში, განაცხადის რეგისტრაციისას);

ბ) საპროექტო წინადადება (დანართი N3, იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის ფორმით);

გ) ფილმის ავტორთა პროფესიული ბიოგრაფიები (დანართი N4, იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის ფორმით);

დ) პროექტის ხელმძღვანელისა და ფილმის ავტორთა ნამუშევრების ელექტრონული მისამართები/ბმულები;

ე) იურიდიული პირის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი - გაფორმებული ხელშეკრულება/ხელშეკრულებები შესრულებული სამუშაოს შესახებ, მიღება-ჩაბარების აქტი/აქტები (მინიმუმ 5 წლის განმავლობაში) - (იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის ფორმით);

ვ) იურიდიული პირის მიერ პროექტის ფარგლებში ფილმის ავტორებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/შეთანხმება, რომელთა მიხედვითაც დასტურდება, რომ განმცხადებელი და ფონდი არის კანონიერი მფლობელი ყველა იმ საავტორი უფლებისა, რომელიც ფილმში იქნება გამოყენებული (იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის ფორმით);

ზ) ცნობა თანადაფინანსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენილი უნდა იყოს იურიდიული პირის ან ფიზიკური პირის მიერ დადასტურებული და სავალდებულოა ცნობაში მითითებული იყოს თანადაფინანსების თანხა და მიზნობრიობა.

1. იურიდიული პირის მხრიდან თანადაფინანსების შემთხვევაში ცნობა თანადაფინანსების შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე ან ფონდის მიერ დამტკიცებული ფორმით, დამოწმებული თანადაფინანსებელი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ორგანიზაციის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), (დანართი N5, იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით). თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარგმანთა ბიუროს მიერ;

2. ფიზიკური პირის მხრიდან თანადაფინანსების შემთხვევაში ცნობა თანადაფინანსების შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს ფონდის მიერ დამტკიცებული ფორმით, დამოწმებული თანადაფინანსებელი ფიზიკური პირის ხელმოწერით (დანართი N5, იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით). თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარგმანთა ბიუროს მიერ;

კ) გეგმა-გრაფიკი (ივსება GMUS-ში, განაცხადის რეგისტრაციისას);

ლ) ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება (ივსება GMUS-ში, განაცხადის რეგისტრაციისას);

მ) კონკურსში მონაწილეობისათვის ფონდის კანცელარიაში იურიდიულმა პირმა უნდა წარმოადგინოს „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (გენერირდება GMUS-ით) დამოწმებული შესაბამისი ხელმოწერებითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში დაფინანსების მიმღებმა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) იურიდიული პირის ანგარიშის რეკვიზიტები – ამ პროექტისათვის გახსნილი ლარის საბანკო/სახაზინო ანგარიშის ნომერი, რომელზეც გამარჯვების შემთხვევაში ჩაირიცხება დაფინანსების თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ იურიდიულ პირს არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე (2022 წლის მდგომარეობით).